

საქართველოში საავტომობილო გზების გაუმჯობესება, როგორც კლიმატის ცვლილების შეჩერების ერთერთი პირობა

გ. სოფაძე

ელ-ფოსტა: gia.sopadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. 1

მსოფლიოში ერთ-ერთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას კლიმატის ცვლილება წარმოადგენს. როგორც ცნობილია ამ პროცესის გამომწვევ მიზეზებად ითვლება საწარმოები, სოფლის მეურნეობა, ხანძრები და მეტ წილად ავტოტრანსპორტი. ბოლო წლებში, საქართველოში სატბურის აირების ემისიის წილმა ავტოტრანსპორტიდან 70% გადააჭარბა. ასეთი სიტუაცია გამოწვეული იყო ავტოპარკის დაბალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლებითა და გზების არასახარბიელო მდგომარეობით.

ცნობილია, რომ ბენზინზე მომუშავე, ერთი მსუბუქი, ტექნიკურად გამართული ავტომანქანა ნორმალური გზების პირობებში, 100 კმ-ზე გამოყოფს 14,7კგ CO₂-ს, სატვირთო კი - 33 კგ-ს. საქართველოში 2006 წლიდან საავტომობილო გზების გაუმჯობესებამ და გამტარიანობის გაზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა ემისიების რაოდენობა. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის, თბილისი-გორი-რუისის 95 კილომეტრიანი მონაკვეთი.

ამ მონაკვეთზე, 2000 წლიდან 2006 წლამდე საშუალოდ წლიურად, დღე-ღამის განმავლობაში მოძრაობდა 9000 მანქანა, ამ მანძილის გავლას დღეების გარკვეულ პერიოდში ავტომანქანას სჭირდებოდა 2 საათი და 30 წუთი ე.ი. საშუალო სიჩქარე შეადგენდა 40კმ/ს. შედეგად საშუალოდ გამოიფრქვეოდა 20 კგ CO₂. ხოლო სატვირთო მანქანებიდან - 50კგ. გზის გაუმჯობესების შემდეგ, იგივე მანძილს ავტომანქანა გადის ერთ საათში შეუფერხებლად და შესაბამისად გამოაფრქვევს 15 კგ CO₂, ხოლო სატვირთო 35კგ CO₂. შესაბამისად ერთ მანქანაზე 10კგ ნაკლები CO₂ იფრქვევა.

2010 წლისთვის აღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის საშუალო წლიურმა ნაკადმა მიაღწია 11000 ერთეულს. გზის გაუმჯობესების შედეგად, ყოველდღიურად ემისიების ეკონომია შეადგენს 110 CO₂ ტონას (ცნობისთვის 1ტ შემცირებული CO₂ საერთაშორისო სავაჭრო ღირებულება საშუალოდ 75 აშშ დოლარს შეადგენს).

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზების საფარის ხარისხიანობის (უსწორმასწორობის კოეფიციენტის გაზომვა) და გამტარიანობის მიხედვით და გამოიყოფა კარგი, საშუალო დაზიანებული და ცუდი გზები. აგრეთვე გამოთვლილია მანქანების ინტენსივობა, როგორც სეზონური ასევე საშუალო წლიური მაჩვენებლით, მანქანების კატეგორიების მიხედვით.

საქართველოში სულ 6834 კმ გზაა, აქედან 1528 კმ საერთაშორისო მნიშვნელობის და 5306კმ შიდა მნიშვნელობის. 2006 წლიდან მთლიანათ გაუმჯობესდა 4213 კმ გზა 2015 წლამდე დაგეგმილია 2500 კმ გზის გაუმჯობესება.

დასკვნაში შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს კლიმატის ცვლილების კონვენციის იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომელიც ქვეყანას აქვს აღებული.